



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიონიზო კარლი და პიაჩენცა

დიონიზო კარლი და პიაჩენცა (Dionigio Carli da Piacenza), XVII ს. იტალიელი მისიონერი, კაპუცინთა ორდენის წევრი.

1681 ჩამოვიდა თბილისში და 6 თვეს დარჩა. შემდეგ წინამძღვრად იყო გორის კათოლიკეთა პოსპიტალში. მისი რელაციონი (დაიბეჭდა 1687) მრავალმხრივ საყურადღებო წყაროა XVII ს. უკანასკნელი მეოთხედის ქართლისა და კახეთის საზღ.-პოლიტიკური ცხოვრების შესასწავლად. მასში საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი თბილისელთა და, საერთოდ, ქართველთა ყოფა (ჩაცმა-დახურვა, ქორწილი, გლოვის წესი, ყაბახი, ჩოგანბურთი და სხვ.), აგრეთვე აღმ. საქართველოსა და ირანის ურთიერთობა.

თბილ.: Bassano - Le Quattro Parti del Mondo, Libro 2. Della Città di Tiflis, 1687, cap. 19.

ბ. გიორგაძე
